საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/71

08.09. 2017 წ. ქ. ბათუმი

,,ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის" პედაგოგთა პროფესიული განვითარებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის: ,,ბავშვთა უფლებებისა და ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვის მექანიზმები" - დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, ,,უწყვეტი განათლების ცენტრის" დებულების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის, ,,ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 25 დეკემბრის № 01-08/58 ბრძანების, ,,ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის" საკოორდინაციო საბჭოს 2017 წლის 05 სექტემბრის №3 სხდომის ოქმის და ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულების კოორდინატორის ასოც. პროფ. თ. ავალიანის 2017 წლის 06 სექტემბრის № 1024535 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს მოკლევადიანი საგამანათლებლო პროგრამა *,,ბავშვთა უფლებებისა და ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვის მექანიზმები"* (დანართი 1).
2. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად საჭირო პერსონალის მოწვევისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადება და სხვა საჭირო ღონისძიებების გატარება დაევლოს ,,ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის" პედაგოგთა პროფესიული განვითარებისა და სკოლამდელი აღზრდის სწავლების მიმართულების კოორდინატორს ასოც. პროფ. თ. ავალიანს.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოც. პროფესორი **მ. ხალვაში**

,,ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის" პედაგოგთა პროფესიული განვითარებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის: ,,ბავშვთა უფლებებისა და ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვის მექანიზმები" - დამტკიცების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2017 წლის ---08--- სექტემბრის № ---01-09/71--- ბრძანების

დანართი-1

პროგრამის სახელწოდება	ბავშვთა უფლებები და ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვის მექანიზმები
პროგრამის განმახორციელებელი	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი	ბათუმი. ნინოშვილის ქ. № 35
საკონტაქტოპირი	*თემურ ავალიანი-ბსუ-ს* უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული განვითარებისა და სკოლამდელი აღზრდის სწავლების მიმართულების კოორდინატორი
საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტა	temuriavaliani@mail.ru
საკონტაქტო პირის ტელეფონი	595 506 422
პროგრამის ხელმძღვანელი	*მარეხი მგელაძე* - ფსიქოლოგიის მაგისტრი *მარიამ მგელაძე* - საჯარო სამართლის მაგისტრი
ელექტრონული ფოსტა და ტელეფონი	marekhimgeladze@gmail.com
პროგრამის ხანგრძლივობა	15 სატრენინგო და 10 დამოუკიდებელი საათი
სამიზნე ჯგუფი	სკოლამდელი დაწესებულების მეთოდისტები, აღმზრდელები, ნებისმიერი დაინტერესებული პირი
პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები	*მარეხი მგელაძე* - -ფსიქოლოგიის მაგისტრი; *მარიამ მგელაძე*- 1. საერთაშორისო საზღვაო სამართლის მაგისტრი; 2. საჯარო სამართლის მაგისტრი *თამთა ინწკირველი* - ბსუ-ს ფსიქოლოგიის სპეციალობის მაგისტრანტი;

პირველიდღე			
№	მეთოდი	დრო	აქტივობის აღწერა

1	გაცნობა	10:00-10:15	ტრენერი ეცნობა მონაწილეებს; მონაწილეები ეცნობიან ერთმანეთს; ტრენერი აცნობს მონაწილეებს ტრენინგის მიზნებს.
2	დავალება	10:15-10:30	ტრენინგის მონაწილეები ასრულებენ ტრენინგის თემატიკის ფარგლებში შედგენილ პრე-ტესტს.
3	პრეზენტაცია	10:30-11:30	ტრენერი წარმოადგენს პრეზენტაციას თემაზე: „რა არის ძალადობა „რა ითვლება ბავშვზე ძალადობად, „ძალადობის ფორმები“.
4	პრეზენტაცია	11:30-12:00	ტრენერი წარმოადგენს პრეზენტაციას თემაზე: „ბავშვზე ძალადობის გამომწვევი და ძალადობისგან დამცავი ფაქტორები“.
5	პრეზენტაცია	12:00-12:30	ტრენერი წარმოადგენს პრეზენტაციას თემაზე: „ბავშვის ცნება“, „საქართველოში არსებული ბავშვთა სრულფასოვანი განვითარებისთვის მექანიზმები“; „როგორ ვიზრუნოთ ბავშვის უსაფრთხოებაზე“,
შესვენება-12:30-13:30			
6	დავალება	13:30-14:00	ტრენინგის მონაწილეები იყოფიან ჯგუფებად და ამზადებენ პრეზენტაციას: „ბავშვზე ძალადობის ნიშნები და შედეგები“.
7	პრეზენტაცია	14:00-14:30	ტრენერი წარმოადგენს პრეზენტაციას თემაზე: „ოჯახში ძალადობის პრევენცია“; „ოჯახში ძალადობის გამოვლენის და აღკვეთის მექანიზმები“.
8	პრეზენტაცია	14:30-15:00	ტრენერი წარმოადგენს პრეზენტაციას თემაზე: „ბავშვზე ძალადობის შემთხვევების გამოვლენა (ფორმები, ნიშნები)“.
მეორე დღე			
№	მეთოდი	დრო	აქტივობის აღწერა

1	დავალება	10:00-10:30	ტრენინგის მონაწილეები იყოფიან ჯგუფებად და ამზადებენ პრეზენტაციას თემაზე: ,,როგორ დავიცვათ ბავშვი ძალადობისგან"; ,,ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში";
2	პრეზენტაცია	10:30-11:30	ტრენერი წარმოადგენს პრეზენტაციას თემაზე:,,მულტისექტორული პასუხისმგებლობა ძალადობისგან ბავშვის დაცვაზე; ვის უნდა მივმართოთ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში"; ,,სოციალური მუშაკის როლი ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში"
3	პრეზენტაცია	11:30-12:30	ტრენერი წარმოადგენს პრეზენტაციას თემაზე: ,,ბავშვთა ბაღი და მისი მნიშვნელობა. უსაფრთხო და ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს დაგეგმვა";,,განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების მხარდაჭერა, მათი უფლებების დაცვა სკოლამდელ დაწესებულებაში".
შესვენება 12:30-13:30			
4	პრეზენტაცია	12:30-13:30	ტრენერი წარმოადგენს პრეზენტაციას თემაზე: ,,დაზარალებული, მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა"; ,,ინფორმაციის მოპოვება დამატებითი ტრავმის გარეშე"
5	დავალება	13:30-14:00	ტრენინგის მონაწილეები იყოფიან ჯგუფებად და ამზადებენ პრეზენტაციას თემაზე: შეიძლება თუ არა ბავშვის დასჯა; როგორ უნდა მოვიქცეთ გამომწვევი ქცევის გამოვლენის შემთხვევაში
6	პრეზენტაცია	14:00-15:00	ტრენერი წარმოადგენს პრეზენტაციას თემაზე: ,,ფსიქოლოგიური ტრავმა და მისი შედეგები"; ,,რატომ არ შეიძლება ბავშვის ფიზიკური დასჯა"; ,,გამომწვევ ქცევაზე რეაგირების ფორმები".
მესამედღე			
№	მეთოდი	დრო	აქტივობის აღწერა

1	პრეზენტაცია	10:00-11:00	ტრენერი წარმოადგენს პრეზენტაციას თემაზე: „ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისორეგულაციები: „ბავშვის უფლებათა დეკლარაცია“; „ევროპული კონვენცია ბავშვის უფლებათა შესახებ“;
2	პრეზენტაცია	11:00-12:00	ტრენერი წარმოადგენს პრეზენტაციას თემაზე: „საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული ბავშვისუფლებების დაცვის მინიმალური გარანტიები, რეგულაციები, მექანიზმები“;
3	დავალება	12:00-13:00	მსმენელები იყოფიან ჯგუფებად, განიხილავენ ქეისებს და ამუშავებენ სამოქმედო სტრატეგიას (კონკრეტული შემთხვევის განხილვისას, როგორია სხვადასხვა სტრუქტურების მოვალეობები, ფუნქციები, პასუხისმგებლობა)
შესვენება13:00-14:00			
4	პრეზენტაცია	14:00-14:30	ტრენერი წარმოადგენს პრეზენტაციას თემაზე: „ადრეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების“ შესახებ სახელმწიფო კანონის განხილვა; სახელმწიფო ორგანოების, იურიდიული და ფიზიკური პირების უფლება-მოვალეობების, ფუნქციების და ვალდებულებების განხილვა.
5	დავალება	14:30-15:00	მსმენელები იყოფიან ჯგუფებად და ამუშავებენ წინასწარ მომზადებულ ქეისებს ტრენინგის სესიის მსვლელობისას განხილული საკითხების ფარგლებში.
6	შეჯამება	15:00-16:00	შემაჯამებელი ტესტირება